ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 228

ქალაქი ქუთაისი 30 აგვისტო 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ინგა გუმბერიძის, ქეთევან არაზაშვილის, ნანა იდაძისა და სალომე რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 23 აგვისტოს №44-4423235192 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ინგა გუმბერიძის, ქეთევან არაზაშვილის, ნანა იდაძისა და სალომე რეხვიაშვილისათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქეების: ინგა გუმბერიძის, ქეთევან არაზაშვილის, ნანა იდაძისა და სალომე რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს ბინის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

საქართველო
31 08 2023
საკრებულო

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5 კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს
№228 განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ინგა გუმბერიძის, ქეთევან არაზაშვილის, ნანა იდაძისა და სალომე რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი/ საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	დანიშნულება
1.	მოქალაქე ინგა გუმბერიძე	60001051954	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №34; №32; №30-ის სამხრეთით	ტროტუარი	2.00 კვ.მ.	03.04.06.660	200	კიბის უჯრედის მოსაწყობად
2.	მოქალაქე ქეთევან არაზაშვილი	60001029462	ქალაქი ქუთაისი, ასათიანის ქუჩა №139-ის დასავლეთით	ტროტუარი	5.0 კვ.მ.	03.04.34.489	500	კიბის უჯრედის მოსაწყობად
3.	მოქალაქე ნანა იდაძე	60001064025	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №127 და №129 ბინების ჩრდილოეთით	ტროტუარი	2.70 კვ.მ.	03.04.22.814	270	კიბის უჯრედის მოსაწყობად
4.	მოქალაქე სალომე რეხვიაშვილი	60001121333	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №28-ის სამხრეთით	ტროტუარი	3.42 კვ.მ.	03.01.21.015	342	კიბის უჯრედის მოსაწყობად

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია